

4-5-6-7 ოქტომბერს თბილისში ჩატარდება საკავშირო პირად-
გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობენ
ყველა რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

1952 წელი. XV ოლიმპიური
თამაშები, მელბორნი. პირველ ად-
გილს საშუალო წონაში იკავებს
მ. ციმაკურიძე, მძიმე წონაში ა.
მეკოიშვილი.

1953 წელი. ახალგაზრდობისა
და სტუდენტთა IV ფესტივალი,
ბუქარესტი. ოქროს მედალს იმ-
სახურებენ: ვ. გვიაძე (მჩატე წო-
ნა), ვ. ბალაძე (ჭვესაშუალო
წონა), ა. მეკოიშვილი (მძიმე წო-
ნა).

1954 წელი. მსოფლიოს პირ-
ველობა, ტოკიო. ჭვესაშუალო
წონაში გამარჯვებული გამოდის
ვ. ბალაძე, მძიმე წონაში — ა.
მეკოიშვილი.

1954 წელი. სტუდენტთა თამა-
შები, ბუდაპეშტი. პირველ ად-
გილს იკავებენ მ. ცალქალაშანიძე
(უმჩატესი წონა), ა. შაისურაძე
(მჩატე წონა), გ. სხირტლაძე (სა-
შუალო წონა), ო. კანდელაკი (მძი-
მე წონა).

1955 წელი. ახალგაზრდობის
საერთაშორისო მეგობრული თამა-
შები, ვარშავა. უმჩატეს წონაში
პირველ ადგილზეა მ. ცალქალაშანი-
ძე, საშუალო წონაში — გ. სხირ-
ტლაძე, მძიმე წონაში — ო. კანდელ-
აკი.

1956 წელი. XVI ოლიმპიური
თამაშები, მელბორნი. პირველ ად-
გილს უმჩატეს წონაში იკავებს მ.
ცალქალაშანიძე.

1957 წელი. მსოფლიოს პირ-
ველობა, სტამბოლი. ჭვესაშუალო
წონაში მსოფლიოს ჩემპიონის სა-
ხელს მეროდ იმსახურებს ვ. ბა-
ლაძე.

თველოდან, ზოგში კი — ზუთი.
საქართველოს სპორტსმენებს თა-
ვისუფალ ჭიდაობაში წამყვანი პო-
ზიციები უჭირავთ და იმედია ისი-
ნი მას არც დათმობენ.

როგორც ცნობილია,
4-5-6-7 ოქტომბერს თბი-
ლისში ჩატარდება საკავ-
შირო პირად-გუნდური
პირველობა თავისუფალ
ჭიდაობაში. ეს არის

მომდინარე საორტული სერო-
ნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო
საინტერესო შეჯიბრება. თბილი-
სელი სპორტის მოყვარულები
სარბიელზე იხილავენ მსოფლიო-
ში სახელგანთქმულ ფილაგნებს:
ალბულს, ვიბრისტიუსს, სინიავს-
კის, საიადოვს, ზესტაუსს და რა-
საკვირვებელია, ბალაძეს, სხირტ-
ლაძეს, კანდელაკს, ცალქალაშანი-
ძეს, მეკოიშვილს და კიდევ
მრავალ სხვას.

ჩემპიონის ოქროს მედალისათ-
ვის ბრძოლა მეტად დამაბული იქ-
ნება, რადგანაც უფროსი თაობის
მოქიდავების გვერდით გამოვლენ
ახალგაზრდები, ისეთები, რომლებ-
მაც სულ ახლახან დამთავრებს ჭა-
ბუკობის ასაკი. ამას გარდა ჭიდაო-
ბის წესებში შეტანილია ბევრი სი-
ახლე.

უაზლოეს ზანში საბჭოთა კავში-
რის ნაკრებს და კერძოდ, საქარ-
თველოს ნაკრებს მეტად სასაუბრის-
მგებლო შეხვედრა მოელოება თურ-
ქეთის ცნობილ მოქიდავებთან.
თურქეთის გუნდი უანასკენელ
მსოფლიო პირველობაზე პირველ
ადგილზე გამოვიდა. მასხალამე,
თბილისსა და მოსკოვში გაიმართ-
და ვ. წ. საუკუნის მატჩები თავი-
სუფალ ჭიდაობაში. ამ მატჩში გა-
მარჯვება მსოფლიოს არაოფიცია-
ლური ჩემპიონად აღიარებას ნიშ-
ნავს.

წარმატებას ვუსურვებ ჩემპი-
ონატის ყველა მონაწილეს. დე, მათი
ყველა გამოსულა თბილისის
სარბიელზე იყო ფიცხელი, ახალ-
ახალა ფანდებით აღსავსე. დიდ-
მა მას, ვინც ამ მხელ ტურნირში
გვატყობს ბრძოლით გამარჯვებას
შეიძლება და შეერდეს ჩემპიონის
ოქროს მედალით დაიმსვენებს.

ტროლეტარაგო ყველა ყვემენსა, შაერთლით!



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის
კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ლელო Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров
Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 118 (1288) ოქტომბერი, 1958 წ. ბათუმის 89-15 ფაილი. ფასი 30 კპპ.



1954 წელი

მ. ცალქალაშანიძე (სპორტის რეზერ-
ვები), ფ. მარტინოვი (სტრუქტურ-
ლი), ნ. მუხაშვილი (დინამო),
ს. გაბარევი (დინამო), ვ. ბალა-
ძე (ნაუკა), გ. სხირტლაძე
(სპორტაკი), ა. ნვგლასი (ცხე მო),
მ. პრუტკოვსკი (დინამო).

1955 წელი

მ. კარაგაძე (დინამო), ო. კა-
შკინი (კალევი), ლ. სალიმული-
ნი (დინამო), ა. ბესტაევი (საბჭო-
არმია), ვ. ბალაძე (ბურევესტნი-
კი), ე. სარო (სპორტაკი), ბ. კუ-
ლავეი (სპორტაკი), ვ. ტროსტერგი
(საბჭო არმია). გუნდური ჩათვლა:
1. საქართველო.

1956 წელი

მ. ცალქალაშანიძე (სპორტის რეზ.), მ.
შახოვი (დინამო), ა. ბალაძე (საბ-
ჭოთა არმია), ი. დადაშვილი (დინამო),
ა. აგაბეიანი (სტრუქტურლი),
გ. სხირტლაძე (სპორტაკი), ბ. კუ-
ლავეი (სპორტაკი), ა. მეკოიშვი-
ლი (დინამო). გუნდური ჩათვლა:
1. ლენინგრადი, 2. საქართველო.

1957 წელი

მ. მეკოიშვილი (საქართველო),
ვ. არსენიანი (საქართველო), ა. ბა-
ლაძე (რსფსრ), ვ. სინიავსკი (უკ-
რაინა), ვ. ბალაძე (საქართველო),
გ. სხირტლაძე (საქართველო), ბ.
გურგენი (უკრაინა), ი. ვიბრისტი-
აი (უკრაინა).

სარბიელზე ფილაგნებო!

საქართველოს რომელი კუთხეც
არ უნდა აიღოს, ჭიდაობა
ყველგან პოპულარულია, დიდი თუ
პატარა, ერთი ხალისით უყურებს
წრეში მონაწილე ფილაგნებს და
თვითონაც სიამოვნებით ჭიდაობს.
სპორტის ეს სახეობა ჩვენს რაიონ-
განვე მოგვედევს, ამიტომ გასაკვი-
რი არაა ის ამბავი, რომ დღეს
მთელ მსოფლიოში ცნობილია ქარ-
თველი მოქიდავების სახელები.
ბუდაპეშტი თუ ბუქარესტი, სტამ-
ბოლი თუ ტოკიო, მელბორნი თუ
ნიუ-იორკი, თერანი თუ პარიზი
აღტაცებით ზღვებოდნენ ჩვენს
წიაღში აღზრდილ ფილაგნებს ა.
მეკოიშვილს, გ. კარტოზიას, ვ.
ბალაძეს, გ. სხირტლაძეს, მ.
ცალქალაშანიძეს და სხვებს.

სად მიიღეს მათ სპორტული
ნათლობა? თავიანთი სოფლის,
სკოლის თუ საწარმოს სარბიელზე.
ზურნის ხმა შათ ტანში ურყოლას
მგვრდა, დოლის ხმა მხნეობას
მატებდა, უფროსი ამხანაგების
ასპარეზობა გამოცდილებას და
იზრდებოდნენ ფილაგნები, კუნთ-
მაგარნი, უშიშარნი, სახელოვანნი,

ისეთები როგორც წინათ გვევდ-
ნენ და ისეთებიც, როგორებიც ახ-
ლა გვეყვანან. საქართველოს სოფ-
ლებში ჭიდაობის ორგანიზატორი
თვითონ ხალხია. კვირა დღით, რო-
დესაც მზე გადაიხრება, იქ, სა-
დაც ხალხის თავშესაყარი ადგი-
ლია დროით დაუკრავს, წრე გაიშ-
ლება, გამრიგებელიც გამოჩნდება,
მსაჯებიც და ტოლის შემრჩევიც.
ასეთმა მასობრიობამ და ჭიდაობით
უსაზღვრო გატაცებამ მოუშადა
მდიდარი ბაზა სპორტის ამ სახეო-
ბას რესპუბლიკაში. სწორედ ჭი-
დაობის და განსაკუთრებით ქართუ-
ლი ჭიდაობის პოპულარობამ შესა-
ძლებელი გახდა რესპუბლიკაში
სწრაფად განვითარებულიყო კლასი-
კური ჭიდაობა, სამზო და, რაც
მთავარია, თავისუფალი ჭიდაობა.

გადახედეთ დღევანდელ გაზეთში
გამოქვეყნებულ საკავშირო პირ-
ველობის შედეგების ამსახველ
ცხრილებს. თავისუფალ ჭიდაობა-
ში დღიდან ჩემპიონატების ჩატარ-
ებისა ყოველთვის გვევდნენ სა-
კავშირო ჩემპიონები. ზოგ ჩემპიო-
ნატში ერთი მოქიდავე იყო საქარ-

ჩ ე მ კ ი ო ნ ე ბ ი ოლიმპიური მსოფლიო

უმჩატესი—ცალქალაშანიძე (სსრკ)
მჩატე—დალისტანლი (თურქეთი)
ჭვესაშუალო—სახახარა (იაპონია)
მსუბუქი—პაბიბი (ირანი)
ჭვესაშუალო—იკედა (იაპონია)
საშუალო—ნიკოლოვი
(ბულგარეთი)
ჭვესაშუალო—ტახტი (ირანი)
მძიმე—ჭაფლანი (თურქეთი)

ქართალი (თურქეთი)
აკბასი (თურქეთი)
დალისტანლი (თურქეთი)
ბესტაევი (სსრკ)
ბალაძე (სსრკ)
სორური (ირანი)
ბეტკოვი (ბულგარეთი)
ჭაფლანი (თურქეთი)

თავისუფალ ჭიდაობაში საკავშირო პირველობა
ატარდება პირველი სახელობის პარკის პალატაში
დასაწყისი პირველ დღეს 12 და 18 ს. შემ-
დგომის დღეებში 11 და 18 ს. ცუდი ამინდის შემთხვევა-
ში შეჯიბრება გადატანილ იქნება სახელმწიფო ცირ-
კის შენობაში და ვ. ი. ლენინის სახელობის სპორ-
ტულ დარბაზში.



ფინალში გავიდნენ

ქართულ ჰიპოპოზში, დასავლეთის ზონის გუნდურ პირველობაში, რომელიც ამას წინათ ჩატარდა ქუთაისში, მონაწილეობდნენ: სამტრედიის, ონის, ცხაჯაის, ქუთაისისა და ბათუმის გუნდები. პირველ ტურში წარმატებას მიაღწიეს სამტრედიისა და ცხაჯაის მოჭიდებლებმა, რომლებმაც დაამარცხეს ონისა და ბათუმის წარმომადგენლები. მეორე ტურში ონის გუნდმა მინიმალური უპირატესობით დაამარცხა ცხაჯაის კოლექტივი, ხოლო სამტრედიის ნაკრებმა კიდევ ერთი გამარჯვება მიაღწია, ამჯერად ქუთაისის გუნდზე.

დარჩენილ ტურში სამტრედიელმა მოჭიდებლებმა კიდევ ერთი შეხვედრა მოიგეს ბათუმის კოლექტივთან და გაინაღდეს პირველი ადგილი. მეორე ადგილის ბედი უნდა გადაეწყვიტა ცხაჯაისა და ქუთაისის გუნდების შეხვედრას. იგი მოიგეს ქუთაისელმა სპორტსმენებმა. ამრიგად, ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს სამტრედიისა და ქუთაისის კოლექტივებმა.

ცალკეულ წონით კატეგორიებში თავი გამოიჩინეს: ჯანიაშვილმა, სპანდერაშვილმა, ჩიკვაძემ და ზითარაშვილმა (ყველა სამტრედიის), ბარათაშვილმა, ხარჩილაძემ (ქუთაისის), ხიდიშელმა და ბაკურაძემ (ონი).

ლ. ფაჩუაშვილი

ს უ რ ა თ ე: ზონალურ პირველობაზე ჩატარებულ შეხვედრათა მომენტები.

რაიონის ჩამოყალიბება

ასპინძის რაიონული ცენტრის საშუალო სკოლის ფრენბურთის მოედანზე გაიმართა რაიონის დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და მოსწავლეთა უძლიერეს ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების ასპარეზობა.

ადგილობრივი მრეწველობის ფრენბურთელთა კოლექტივმა ყველა შეხვედრა მშრალი ანგარიშით მოიგო და რაიონის ჩემპიონის სახელი დასაკურთხა.

უნდა აღინშნოს, რომ ზოგიერთმა ძირეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა, როგორცაა სოფ. ასპინძის წულუკიძის, საროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობები და რიგი საშუალო სკოლები, ვერ უზრუნველყვეს გუნდების გამოყვანა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამის საშუალება ჰქონდათ.

3. ცინაძე

რას უიპრობს ბ. გუნდაძე

ზესტაფონის რაიონის სოფლის ფიზკულტურელებს ჰქონდათ ერთ დროს სალაპარაკო: ჰყავდათ ძლიერი ცხენოსნები, ქართული მოჭიდებლები, ძალოსნები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები, რომლებიც წარმატებით გამოდიოდნენ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობებზე. ისინი მართლაც ამით როდი კმაყოფილდებოდნენ, ხშირად ატარებდნენ შიდასაკოლექტივო, რაიონულ შეჯიბრებებს, აწყობდნენ სამატჩო შეხვედრებს, მაგრამ ეს იყო ოდესღაც.

წლების განმავლობაში არც რაიონული კომიტეტიდან, არც ცენტრალური საბჭოდან არავის შეუწყუბებია თავი გაცნობოდნენ რაისაბჭოს თავმჯდომარის ბ. გუნდაძის საქმიანობას, მიეთითებინათ ნაკლოვანებებზე. კმაყოფილდებოდნენ მის

მიერ ზეგულედ შედგენილ, ხშირად კი ყალბი ანგარიშების წარდგენით, რომელიც საქმეს ისე ხატავდა, თითქოს ზესტაფონის რაიონის სოფლებში ჩქეფდა ფიზკულტურული საქმიანობა.

კონტროლსა და დახმარებას მოკლებულმა რაისაბჭოს თავმჯდომარემ საგრძნობლად შეასუსტა მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი და მუშაობა ჩაშლამდე მიიყვანა. დავიწყით იმით, რაც საქმიანობის ძირითად რგოლს წარმოადგენს — გეგმებით. მართალია, რაისაბჭოს გეგმები აქვს, მაგრამ შედგენილია მოვალეობის მოხდის მიზნით და თვალის ასახვევად. გეგმებში შეტანილი არც ერთი საკითხი არ პასუხობს რაიონის ფიზკულტურელთა მოთხოვნებს, ხოლო, რაც აქვთ გათვალისწინებული, მათი მნიშვნელოვანი ნაწილიც შეუსრულებელია.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მხოლოდ ოთხჯერ შეიკრიბა პრეზიდიუმი, მაშინ როცა გასული წლის ამავე პერიოდში 10 სხდომა იქნა მოწვეული. არავის მოგონებია თუნდაც ერთხელ მოესმინათ რომელიმე ძირეული კოლექტივის ან საერთოდ რაიონში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობის საკითხი. ძირეულ კოლექტივებში არ ტარდება შიდასაკოლექტივო და სამატჩო შეხვედრები, უმოქმედობენ სექციები. სწორედ ამიტომ იყო, რომ რაისაბჭოს ერთადერთი ღონისძიებაში — ფეხბურთელთა რაიონულ ჩემპიონატში 68 ძირეული კოლექტივიდან მხოლოდ 5-მა მიიღო მონაწილეობა.

ცოდეა გამხელილი ჯობია — არც ეს პირველობა ჩაუტარებიათ მაღალ დონეზე მთელმა ჩემპიონატმა გათამაშების მთავარი მსაჯის პ. მალალურდიისა და რაისაბჭოს თავმჯდომარის კინკლა-

ბაში ჩაიარა, რადგან პირველი ცდილობდა გათამაშება ჩაეტარებინა დებულების დაცვით, ხოლო მეორე — ყოველ საქმეში მომენტში ცვლიდა მის მიერვე შედგენილ დებულებას.

რაისაბჭომ ცენტრალური საბჭოს ნებართვის გარეშე გახსნა ჯგუფი ფარეკობაში. რატომ, სად ჰქონდა ამის თანხა? მაგრამ ამ ფაქტს კიდევ უფხვევდა კაცი გვერდს სხვა, უფრო სერიოზული ფინანსური დისციპლინის დარღვევის შემთხვევებსაც, რომ არ ჰქონოდა ადგილი.

რაისაბჭომ 314 მანეთი გადაიხადა მოტოციკლის შეკეთებაში ისე, რომ იგი ხარჯთაღრიცხვით არ ყოფილა გათვალისწინებული. მოხერხებულმა თავმჯდომარემ გამოსავალი იმაში ნახა, რომ აღნიშნული თანხა გააფორმა, როგორც მწერთელის მიერ გაწეული მუშაობის საფასური. ეს ფაქტი დროზე გახდა ცნობილი ცენტრალური საბჭოს რევიზორ-ბუხხალტერ დ. თარგამაძისთვის, მაგრამ, რატომღაც მან არ მიიღო სათანადო ზომები. უკულოდ გაქრა გასული წლის დეკემბერში ცენტრალური საბჭოს მიერ ზესტაფონზე გაცემული ორი ველოსიპედი.

მიმდინარე წლის 27 იანვარს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება: ყველა რაიონში გაეხსნათ სპორტის იმ სახეობათა სექციები, რომლის მაღალკვალიფიციური კადრიც ჰყავდათ ადგილებზე. გადაწყდა: ზესტაფონში შეექმნათ ერთი ჯგუფი კლასიკურ ჰიპოპოზში (ხელმძღვანელობა დავადა რაიონის მკვიდრს სპორტის ოსტატ ვ. ვაქარაძეს) ორი — ცხენოსნობაში. გუნდაძემ ჯერ არად ჩააგდო ეს დადგენილება. ხოლო არაერთგზის შეხსენების შემდეგ ინება ცენტრალური საბჭოს მიერ გამოყოფილი საჭიდაო ლიბების წაღება. როგორც შემოწმებამ ცხადყო, ლიბების დატვირთვაზე 380 მანეთი გაუციათ თბილისის მცხოვ-

რებ ვინმე კ. ა. ბუღალაძის სახელზე. საბუთი ყალბია.

ლიბები ექვეყნებოდა ქუთაისში, მაგრამ სპორტის ცენტრალური ვერცხელები ინვენტარი დაყარეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის აივანზე, ჯერ უხმარო ლიბები უპატრონობამ გააფუჭა და ორი მათგანი უკვე კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს. რაისაბჭოს თავმჯდომარემ პრინციპულად არ ისურვა მათი გადატანა და ჯგუფის გახსნა ცხარეყაროში, სადაც სამისო შესაძლებლობა გააჩნია.

ბ. გუნდაძის მუშაობისადმი სამართლიან საყვედურს გამოთქვიდა ზესტაფონის რაიონში. ცხარეყაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. ჩხილაძემ განაცხადა, რომ სოფელში ბევრია კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდები, აქვთ სპორტული ინვენტარი, მოედნები, მაგრამ რაისაბჭო არ ეხმარება, ორგანიზაციას არ უკეთებს შეჯიბრებებს, ამიტომ ისინი ხშირად გამოუყენებელია.

ძირეულ კოლექტივებთან პრაქტიკული კავშირის უქონლობაზე მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტი: ცენტრალური საბჭოში წარდგენილ გასული წლის წლიურ ანგარიშში ნახევრები, თითქოს რაიონში არსებობდეს 68 ძირეული კოლექტივი, რაისაბჭოში კი მხოლოდ 22 ძირეული კოლექტივიდან აქვთ მიღებული შესაბამისი ცნობები.

საყვედურის ღირსია ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე პ. ლავიციანი. რომელსაც შემოწმების გარეშე დაუდასტურებია ნაკრები ანგარიშის „სისწორე“ თუ ნაკრებ ანგარიშს დაუჯერებლად შარშან მოუმზადებიათ 36 სასოფლო-სამეურნეო ინსტრუქტორი და 18 მსაჯი სპორტის ცალკეულ სახეობებში. მაშინ, როცა არც ერთ მათგანი არაა გამოყენებული პრაქტიკულ საქმიანობაში.

ამგვარმა ხელმძღვანელობამ იქმნა მიყვანა ზესტაფონის სოფლის ფიზკულტურელები, რომ მათ მიმდინარე წელს ცენტრალური საბჭოს მხოლოდ ერთ შეჯიბრებაში — ფრენბურთში მიიღეს მონაწილეობა. ხოლო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სპორტკაიდაზე საერთო მე-14 (1) ადგილი და კმაყოფილდნენ.

საინტერესოა, რას ფიქრობს ბ. გუნდაძე ან რაიონის სხვა ხელმძღვანელი მუშაეები.

3. გოგრიანი, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი

4. გალაშვილი

ანთუზიასპი ფიზკულტურაში

ტყიბულში მოწინავედ ითვლება ლენინის სახელობის შახტის ფიზკულტურული კოლექტივი. ამას წინათ აქაურმა სპორტსმენებმა პირველი ადგილი მოიპოვეს რაიონულ სპორტკაიდაში, რომლის პროგრამაში იყო სპორტის 6 სახეობა. შახტის ფეხბურთელთა გუნდმა რესპუბლიკის პირველობაზე მეორე ჯგუფის პირველ ზონაში დოიკავა პირველი ადგილი და სხვ.

აქაური ფიზკულტურელები სხვა სასარგებლო საქმიანობასაც ეწევიან. მათ უკვე შეაგროვეს და ჩააბარეს ათ ტონაზე მეტი ლითონის ჯარითი.

ძირეულ კოლექტივს გადაწყვიტეს აქვს მუშაობის შემდგომი გარდაქმნით ახალი წარმატებები მოიპოვოს ფიზკულტურისა და სპორტში. ეს კიდევ უფრო შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც აქაურ ფიზკულტურელებს საეკონომიკური დახმარებით დაეხმარება რაიონის მმართველობა და დაამთავრდება.

5. გოგრიანი, 6. ჯინჯიასაძე

ჩ ე მ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ვიხილავთ იმუთ და მუთ ახალი კომპლექსის პროექტს

ჩვენ ვიცით ღერძზე კიდიდან ბაგენში გადასვლის რამდენიმე ძირითადი ხერხი: ძალოსნობა, აძლა ხელების ედრადროული და რიგ-რიგობით გადატაცით ასწრაფვა და სხვ.

ქნევიით ხერხით, გაქნევიდან ამართავლად, უკუქნევზე ასვლა, უქნეთაკრიო ასვლა და სხვ. პირველი ნორმატივი ჩემის აზრით უნდა იყოს ძალოსნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამართავლად 100 ქულის მისაღებად შეიძლება ზოგმა გააკეთოს არა 21-ჯერ, არამედ ორჯერ მეტიც. თუ დებულების თანახმად თვითუფლ შესრულებულ ილეთს მიემატება 5 ქულა, შეუძლია ჩამბარებულმა სხვა ნორმატივებში მოაგროვოს აბსოლუტური მინიმუმი და მიიღოს მუთ ნიშანი, რაც არასწორად მიმანია. უკეთესია თუ ღერძის მაგიერ (გამოყენებითობის მხრივაც) ავი-

ღებთ 5 მეტრის სიმაღლის ბაგირს, სადაც იქნება ნორმატივი ცოცვა ფეხების დაუხმარებლად ქვემოთ მოყვანილი შეფასებით.

ერთჯერ აცოცვა	10 ქულა
მეორედ „	15 ქულა
შესამდე „	20 ქულა
მეოთხედ „	25 ქულა
მეხუთედ „	30 ქულა

სულ 100 ქულა მე მოგონია, რომ 100 ქულა უნდა იყოს ყველა ნორმატივების შეფასების მაქსიმუმი, რაც ხელს შეუწყობს სხვა სახეობათა ნორმების ჩასაბარებლად სათანადო მზადებასაც.

პროექტით გათვალისწინებულია მრავალი ასაკობრივი კატეგორია, რაც საქმეს გაართულებს. აქამდე სამი სახეობის სამკერდე ნიშანი არსებობდა, ახლა კი — 6 მოსახლეობაშია და აღმათ ორი იქნება საბჭოთა არმიის შემოღებისათვის. გამოდის 8 სამკერდე ნიშანი. ეს კი გააძვირებს ორგანიზაციულ მუშაობას.

რაც შეეხება ორგანიზაციულ მხარეს, პრაქტიკა გვიკარნახებს, რომ საჭიროა მხარე სპორტოლო კომისიების ადგილზე (პირველ ორ-სამ წელს მაინც). ისინი დიდ სასარგებლო მუშაობას აწარმოებდნენ და მათი გაუქმება ნაადრევად მიმანია, რადგანაც ჯერ კიდევ არაა გამოცდილი ამ მნიშვნელოვან საქმეში თვალის ახვევის შემთხვევები.

ა. დოკვაძე, ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი.

ა მ ხ ა ნ ა მ ო
ფიზკულტურის
მ უ შ ა კ ე მ ო,
გამოგზავნეთ თქვენი
შენიშვნები იმუთ და
მუთ ახალი კომპლექსის
პროექტის შესახებ!

აღაგი დაუზვეს ჩეპიონება

პირველობის ორ უკანასკნელ დღეს ჩატარდა შეჯიბრება მრგვალ სტენდზე. გუნდური პირველობა სროლის ამ სახეობაში წილად ხვდა საქართველოს მონადირეთა კავშირის კოლექტივს.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირად ჩათვლაში დაწინაურდა სპორტის კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი ბ. ანტონოვი (ამიერკავკასიის სოაქო სამონადირეო საზოგადოება), რომელმაც 24 სა- მიწზე დააზინა პირველ სერიაში, მეორე სერიის 25 შესაძლებლადან არც ერთი არ დააცილა, მესამე სერიაში მხოლოდ ერთს ესროდა ამოდ და მეოთხე უკანასკნელ სერიაში დააზინა რა მაქსიმუმში 25, მოაგროვა 98 ქულა 100 შესაძლებ- ლიდან. ლიდერს საგრძობლად ჩამორჩებოდნენ მისივე თანაგუნ- დელი პ. სარქისოვი, სოხუმელი კ. დარასელი, მახარაძელი სპორ- ტის ოსტატი ბ. მეგრელი და ლ. სიმონიანი. რომლებმაც დააზინეს 89 სამიწე.

მსახურა კოლეგია შეჯამა საერ- თო გუნდური პირველობის შედე- გები და სროლის ორივე სახეობის კომპლექსში (სროლა ადგილი და მრგვალ სტენდზე). პირველი ადგილი მიენიჭა ამიერკავკასიის სოაქო სამონადირეო საზოგადო- ების გუნდს, რომელიც მშდინარე პირველობაზე გამოდიოდა სპორ- ტის ოსტატების ბ. ანტონოვის, პ. სარქისოვის, დ. ციგანოვისა და პირველთანრიგისან გ. ლავრინე- კოს შემადგენლობით, გუნდმა მოა- გროვა 903 ქულა 1200 შესაძლებ- ლიდან და მოიპოვა უძლიერესის სახელი. მეორე ადგილზე გამოვი- და აფხაზეთის ნაკრები კოლექ- ტივი.

პირველობის უკანასკნელ დღეს ფინალში გასულ 9 მსროლელს შორის უნდა გამოვლინებულყო საქართველოს ჩემპიონი მრგვალ სტენდზე სროლაში. წინ წასულ ბ. ანტონოვს ფაქტიურად უკონ- კურენტოდ უხდებოდა სროლა და ჩემპიონობა მოიპოვა.

შეჯიბრება დამთავრდა. საქარ- თვლოს ჩემპიონებმა ზ. მაჩხანელმა და ბ. ანტონოვმა დაუშვეს პირვე- ლობის ალამი.

სწორად მოიქცა ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი, რომ საქართველოს პირველობა ჩატარა ისეთ კეთილმოწყობილ სასრო- ლეთზე, როგორცაა სოხუმის სტენდი, პირველობა ჩატარდა ორგანიზებულად, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის აფხაზ- მონაკვეთის გამგეობას (თავმჯ- დომარე სპორტის ოსტატი გ. ნო- ლია) და მის აქტივს.

ჯ. გოვინალიძე,

რესპუბლიკური კატეგორიის მსახურა.

კოლექტივებში უძლიერესი

დამთავრდა თბილისის პირველო- ბა ფრენბურთში ძირეულ კოლექ- ტივებს შორის. როგორც ცნობი- ლია, საქართველოს სასოფლო-სამე- შურეო ინსტიტუტისა და პოლი- ტექნიკური ინსტიტუტის გუნდებმა დაამთავრეს შეჯიბრება ქულათა თანაბარი რაოდენობით. ჩემპიონის გამოსავალი გამოდგინდა მთ შორის დაინიშნა განმეორებითი შეხვედ- რა, მომავალმა ინტერებმა, რომე- ლთა შემადგენლობაში არ იყო ვ. კაპარავა, ვერ შეძლეს შესაფერ- ვინააღმდეგობის გაწევა და წა- ბეს შეხვედრა ანგარიშით 1:8.

ქალთა შორის ჩემპიონის გუნდა სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნ- დი, რომელმაც გადამწყვეტ შეხ- ვედრაში დაამარცხა ფიზკულტურ- ის ინსტიტუტის სპორტსმენები — 3:1.

საქართველოს როგბურთელთა წარმატება

სსრ კავშირის გუნდური

პირველობა როგბურთში

განსაკუთრებით სინტერესო გა- მოდგა გათამაშების მეორე დღე, სადაც ერთმანეთს შეხვედნენ სა- ქართველოს და ლენინგრადის კოლექტივები. გამარჯვებული ნა- ხევარფინალში გადიოდა.

დიდი წარმატება მოიპოვეს სა- ქართველოს სპორტსმენებმა. რ. აბუნიძემ, ნ. ნოვოსელცოვამ, გ. მუსაელიანმა და ნ. მიხარაიშვილ- მა დაამარცხეს ყველა მოწინააღ- დეგე და შედგა შესაძლებლად თაყიანთ გუნდს მისცეს 7 ქულა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. მუსაელიანის თამაში. მან დაამარ- ცხა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძ- ლიერესი როგბურთელი ა. პოტა- ნინი — 6:3, 6:2, მაგრამ ამ ორთ არ დამთავრებულა. ისინი კვლავ შეხვედნენ ერთმანეთს წყვილთა და შერეულ წყვილთა თამაშში. პოტა-

ნინსა და ა. ანტონოვის წინააღ- დეგ გათამაშეს გ. მუსაელიანმა და ნ. მიხარაიშვილმა და დამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 6:1, 11:9. შემდეგ გ. მუსაელიანმა რ. აბუნიძესთან ერთად კვლავ მოუ- გო პოტანინსა და ნ. ანტონოვს — 6:2, 6:2.

ორი ქულა მოიპოვა ამ დღეს ი. რიზანოვამ, რომელმაც ჯერ და- მარცხა ვ. ვასილიევა — 7:5, 7:5, ხოლო შემდეგ კ. მინაევასთან ერ- თად — ვ. ვასილიევა და გ. ივანო- ვა — 6:3, 6:1. ლ. მიხარაიშვილმა დაამარცხა ა. ნასელიანი.

ლენინგრადისა და საქართვე- ლის კოლექტივების დანარჩენი შეხვედრები შედგა მესამე დღეს, სადაც განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ლენინგრადელებმა. და- მარცხება განიცადეს რ. რიზანო-

ვა-ა. ვერულავას წყვილმა. თაყიან- თი მეტოქეების წინაშე ფარ-ხმალი დაყარეს აგრეთვე ზ. ლოლობერი- ძემ და რ. კუბარასმა. დამარცხდა ანგარიშით 6:1, 11:9. შემდეგ საქართველოს გუნდი მო- წინააღმდეგეზე წინ იყო მხოლოდ ერთი ქულით — 10:9, მაგრამ ბომ- დენო შეხვედრაში კ. მინაევა-გ. დარბაზილის წყვილმა გამარჯვა გ. ივანოვასა და ა. ლუკირსკიზე — 6:4, 3:6, 6:4. ამრიგად, საქარ- თველოს გუნდი მეოთხედფინალში გავიდა.

უძლიერესთა ოთხეულში ვასე- ლისათვის იბრძოდნენ ესტონეთისა და რუსრ-ს ნაკრები გუნდებიც, გამარჯვებული კოლექტივი გამო- ვლინდა უკანასკნელ შეხვედრაში მ. ლინდრე-ა. ლიუისის წყვილის შეხვედრა ტ. ტორტენკო-რ. სი- ვონთან დამთავრდა პირველების

შეხვედრა უძლიერესებში

საქართველოს პირველობა

28 სექტემბერს გაიმართა საქარ- თველოს პირველობის ფინალური შეხვედრები ფრენბურთში. I-X ად- ვილისათვის მახარაძეში ადგილო- ბრივმა „კოლმეურნემ“ მიიღო ლანჩხუთელი თანაგუნდელისა. მა- ტჩის დამთავრდა მასპინძლების გა- მარჯვებით ანგარიშით 4:0.

ქუთაისში „დინამოს“ წინააღ- მდეგე თამაშობდა რუსთაის „მეტა- ლურგი“. დინამოელებმა მოწინააღ- მდეგის კარში გაიტანეს სამი მშრალი ბურთი და გამარჯვეს. მეორე დღეს აქ ადგილობრივმა „ტორედომ“ ამავე ანგარიშით დაამარცხა ფიზკულტურის ინს- ტიტუტის გუნდი.

თბილისში ტტს-ის კოლექტივი შეხვდა ქიათურის „მადაროელს“. პირველი ნახევარი დამთავრდა ან- გარიშით — 1:0 მასპინძლების სასარგებლოდ. მეორე ნახევარში ტრამეველთა ოთხ გოლს მადაროე- ლებმა ორით უპასუხეს. მატჩის საბოლოო შედეგია — 5:2 თბილი- სელთა სასარგებლოდ.

XI-XX ადგილებისათვის მეგრ- ძოლი გუნდების შეხვედრებში ფოთის კოლექტივმა მიიღო სტა- ლინის „სპარტაკი“ და იგი და-

ამარცხა მინიმალური ანგარიშით — 1:0.

26 კომ. სახ. რაიონისა და ზუგ- დიდის „ოლიმპის“ გუნდების შეხ- ვედრაში გამარჯვეს 26 კომ. სახ. რაიონის ფრენბურთელებმა — 2:1. რუსთაველი „სხივისა“ და თბილი- სის „დინამო“ I გუნდების შეხვე- დრა დამთავრდა მასპინძელთა გა- მარჯვებით ანგარიშით — 2:0.

ქობულეთში ადგილობრივმა „კოლმეურნემ“ მიიღო გორის „განთიადი“. გამარჯვეს ქობულე- თელებმა — 3:1.

თელავის „სპარტაკისა“ და სამ- ტრედიის „ლოკომოტივის“ გუნდ- ბის შეხვედრა ჩატარდა თელავში. პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 1:1. მეორე ნახევარში რკინიგზელებმა კიდევ ორი ბურ- თი გაიტანეს და გამარჯვეს ანგა- რით 3:1.

აღსანიშნავია, რომ პირველ კე- ლენდარულ დღეს ადგილი ჰქონდა დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტებს. ზუგდიდელმა გ. შედ- ნიამ მატჩის დამთავრების შემდეგ ფიზკურთა შეურაცხყოფა მიუყენა გვერდით მსაჯესა და ერთ-ერთი მა- ყურებელს. ამავე თამაშში მისმა თანაგუნდელმა ა. როგავამ უხე-

შად დარღვია დისციპლინა, რის- თვისაც სამართლიანად იქნა გაძე- ვებული მოედნიდან.

მახარაძისა და ლანჩხუთის გუნ- დების მატჩში ლანჩხუთელთა კე- პიტანს ნ. ნარიაშვილს მსაჯის შე- ურაცხყოფისა და უხეშობისათვის მოედანი დატოვებინეს. უდისციპ- ლინოდ ეჭირა თავი, აგრეთვე ამა- ვე გუნდის წევრს შ. კაკაბაძეს, რომელიც მთელი მატჩის განმავ- ლობაში ეკამათებოდა მსაჯს. აღ- ნიშნული გუნდების ხელმძღვანე- ლებმა, ზუგდიდისა და ლანჩხუ- თის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტებმა ზემო- აღნიშნულიდან სათანადო დასკვნე- ბი უნდა გააკეთონ.

შეხვედრათა კალენდარი

5 ოქტომბერი. I-X ადგილი- სათვის: „კოლმეურნე“ (მახარაძე)- ტტს (თბილისი), „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი)-„დინამო“ (ქუთაისი), „მეტალურგი“ (რუსთავი)-„დინა- მო“ (სოხუმი), ფოთ. ინსტიტუტა (თბილისი)-„მადაროელი“ (ქიათუ- რა).

XI-XX ადგილისათვის: ფოთის გუნდი-„სპარტაკი“ (თელავი), „სპა- რტაკი“ (სტალინური)-26 კომ. სახ. რაიონი (თბილისი), „ოლიმპი“ (ზუ- გდიდი)-„დინამო“ I (თბილისი), „სხივი“ (რუსთავი)-„კოლმეურნე“ (ქობულეთი), „განთიადი“ (გორი)- „ლოკომოტივი“ (სამტრედი).

7 ოქტომბერი. ცსკ მო-„დინამო“ (მოსკოვი), „სხივი“ (სტალინი).

საკავშირო თასის მერვედფინა- ლური შეხვედრების კალენდარი ასეთია:

2 ოქტომბერი. „სპარტაკი“ (ტაშკენტი)-სკო (ლეფი).

6 ოქტომბერი. „დინამო“ (კიე- ვი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი), „ადმი- რალტევი“ (ლენინგრადი)-„დინა- მო“ (თბილისი), „ზნამია ტრუდა“ (ორეხოვო-ზუვეე)-„მოლოდვა“ (კი- შინოვი).

„მემორიუმის პილოტი“

საპროტა სპორტსმენები

ლიბციეში დამთავრდა შეჯიბრე- რული არმიების სპორტსმენთა პი- რველი სპარტაკი, რომელშიც გამარჯვებისათვის იბრძოდა 12 სოცილისტური ქვეყნის ნაკრები კოლექტივი. შეჯიბრებაში საერთო გუნდურ პირველი ადგილი მოი- პოვეს საბჭოთა შეიარაღებული ძალთა სპორტსმენებმა, მთ გადაცემა „მემორიუმის პილოტი“, მეორე ადგილზე გამოვიდნენ გდრ-ს, მესამეზე — ჩეხოსლოვა- კიის სპორტსმენები.

შეჯიბრების პროცესში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა მოი- პოვეს 250-ზე მეტი მედალი. მათ შორის 150-მდე ოქროსი.

გამარჯვებით. მატჩი მოიგო ესტო- ნეთის კოლექტივმა, აზერბაიჯანის გუნდმა სუსტი წინააღმდეგობა გა- უწია მოსკოველ ჩოგბურთელებს და დამარცხდა ანგარიშით — 0:14. მოსკოველები უკრაინელებთან ერთად, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს ბელორუსის გუნდთან, გავიდნენ უძლიერესთა ოთხეულში,


ლ. თუშვილი
ს უ რ ა თ ე ე: ს. ანდრევი (მოს- კოვი) თამაშის დროს.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

გათამაშების ცხრილი

IV ზონა	
მდგომარეობა	2 ოქტომბრისათვის
	თ. მ. ფ. წ. ბ. წ.
„სპარტაკი“ (ერევანი)	26 15 8 3 43:11 88
სკო (როსტოვი)	26 16 5 5 65:22 87
„უბანი“ (ქრასნოდარი)	26 16 5 5 56:28 87
„ბურვეტნიკი“ (თბილისი)	27 14 8 5 54:32 86
„ლოკომოტივი“ (ქუთაისი)	27 14 6 7 57:34 84
სკო (თბილისი)	25 18 5 7 41:30 81
„ფიზიკი“ (ბაქო)	25 11 7 742:35 29
„თერგი“ (გროზო)	27 12 5 10,30:45 29
„შახტიორი“ (კაღივკა)	27 9 8,10 38:37 26
„ლოკომოტივი“ (სტალინი)	27 10 5,12 46:53 25
„მეტალურგი“ (სტალინგრ.)	27 9 4 14,25:46 22
„სპარტაკი“ (სტავროპ.)	27 5 11,11 27:50 21
„შირაქი“ (ლენინკ.)	27 8 8 16 22:85 19
„შახტიორი“ (შახტი)	27 6 6,15 24:44 18
„ტრეპი“ (მახაჩ-კალა)	27 5 4 18 21:48 14
„ტრუდი“ (ახტარხანი)	26 3 2,21 21:71 8

7 ოქტომბერი. ცსკ მო-„დინამო“ (მოსკოვი), „სხივი“ (სტალი- ნი)-„ტორედო“ (მოსკოვი).

8 ოქტომბერი. „კრილა სოვე- ტივი“ (კუბინევი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი).



სინიორ მარინოს წინათ რომში იცნობდნენ როგორც მსხვილ მრეწველს, კაპიტალისტს. ჰქონდა მას რამდენიმე დიდი საწარმო, საფულისხმო თანხა ოთხ თუ ხუთ ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, კომფორტაბელური ვილა რომში და ადრიატიკის ზღვის ნაპირზე. ჰყავდა მას ოჯახი, მოქცეული იყო გავლენიანი მეგობრების საქმიან ფაროს სფეროში და... გატაცებით უყვარდა კალათბურთი. ეს უკანასკნელი გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მარინო აირჩიეს იტალიის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტად. კანდიდატურა მართლაც რომ საუკეთესო იყო. იტალიის კალათბურთი საიმედო მიცენატის ხელში აღმოჩნდა. გავიდა წლები. მარინო ჩინებულიად უძღვებოდა პრეზიდენტის მოვალეობას, მაგრამ როგორც ყვე-

ლა მომაკვდავს, მასაც სიბერე შეეპარა. დიდი ხნის ფიჭვისა და ყოყმანის შემდეგ, მარინომ გადაწყვიტა დაეთმო თავისი პოსტი რომელიმე ახალგაზრდა მეცენატისათვის. მაგრამ სპორტიდან უკვალოდ წასვლა მას არ აწყობდა. და აი მარინომ, გადაწყვიტა თავისი სახელობის თანხის დაწესება, რომელიც ამავე დროს ევროპის არაოფიციალური ჩემპიონატი უნდა ყოფილიყო.

ახე წარმოიშვა მსოფლიოში ყველაზე დიდი მოცულობის თასი, თასი გოჯანტი, რომელიც იწონის დაახლოებით 400 კილოგრამს. თასს სამუდამო ადგილსამყოფელად მიუჩინეს რომის ერთ-ერთი მუზეუმი. იგი დღესაც იქ ინახება. ტურინში გამარჯვებული გუნდისათვის კი გაკეთდა იგივე ფორმის, ოღონდ მოცულობით პატარა (19-20-კილოგრამიანი) თასი, რომელსაც 1954 წლიდან ვერ უღევანს საბჭოთა კალათბურთელები.

როგორც ცნობილია, წლებად დედ გათამაშებაში თასი კვლავ ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდს დარჩა. საპატიო ჯილდომ მხოლოდ რამდენიმე დღით ინახულა სამშობლო და შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის ძირითად ადგილსამყოფელს — მოსკოვს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წლებად დედ ტურინი კინაღამ საპატიო ჯილდოს გარეშე ჩატარდა.

აი რა გვიამბო საბჭოთა დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯემა ვახტანგ ჯაფარიძემ ამის შესახებ.

— ტურინი დანიშნული იყო 10 სექტემბრისათვის ე. ი. ჩვენი დელეგაცია 6, უკიდურეს შემთხვევაში კი 7 სექტემბერს მიიწვიდა ვაფრენილიყო იტალიაში. მაგრამ ვიზებმა დაიგვიანა. გავიდა 8 რიცხვი, 9, იტალიის საელჩო კი სდუმდა. 10 სექტემბერს დელეგაციის ზელომღვანელებმა დაურევს მიუნხენში კალათბურთის საერთა-

შორისო ფედერაციის გენერალურ მდიანს ჯონსს და ჩააყენეს იგი საქმის კურსში. ჯონსი მართალია, შევიცარიანი ცხოვრობს, მაგრამ მიუნხენში მწვრთნელთა დახელოვნების ინსტიტუტს ზელომღვანელობს (მისი დირექტორია), ამიტომ მისი დაკერის შანსი აქ უფრო დიდი იყო. გენერალური მდიანი განაცვიფრა იტალიის ზელომღვანელთა ასეთმა უგუნურმა გადაწყვეტილებამ. როგორ შეიძლება ტურინის ჩატარება თასის მფლობელის მონაწილეობის გარეშე, ცხარობდა იგი:

— ახლავ დავრეკავ რომში, საჯარო საქმეთა მინისტრი ჩემი მეგობარია — გაგამხსენებ ჯონსმა, — მიუნხენიდან ნახევარი საათის შემდეგ დაგირეკავთ. გენერალურმა მდიანმა სიტყვა შეასრულა. ნახევარი საათის შემდეგ ჯონსმა გვაცნობა, რომ ყველაფერი მოგვარდა. შეჯიბრების დაწყება მან პირადად გადაიტანა 14 სექტემბრისათვის.

ბოლონის ვაგზალზე გადიმბუელი სახით შემოგვიგება ჯონსი, რომელმაც მიგვაცნო სახეობა მდე, დაგვანახა, თვითონ კი ვაფრინდა მადრიდში — ფედერაციის კონგრესის მიუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ამ პატარა, მაგრამ უსიამოვნო ინციდენტის გამო იტალიელი ორგანიზატორები მეტად დარცხვინდნენ იყვნენ. ისინი გულახდლად პოდიშობდნენ, ჰავშვებოვით იმართლებდნენ თავს და მიუთითებდნენ ხელისუფლებაზე, რომლებმაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს მასპინძლები.

სურათზე: ბოლონის კალათბურთის დარბაზის ხედი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ოკლაპომას შტატის ერთ-ერთი ქალაქის კაფეში ახალგაზრდა მოკრეფე — ედვარდი და მისი თაყვანისმცემლები ისხდნენ და გატაცებით საუბრობდნენ მომავალ საგარეულო ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ.

კაფეში შემოვიდა ვილაც გოლიათი ჰაბუკი და ყავა მოითხოვა. — ეი, ყმაწვილო — მიუახლოვდა მას ედვარდის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი, — ედვარდს თუ იცნობ?

— არა.

— ძალიან ცუდი! — უთხრა მას თაყვანისმცემელმა, — ედვარდი დიდი მომავლის მოკრეფეა. მის ყოველ მუშტში ნოკაუტების სეტყვაა. მას არა ერთი ისეთი ახმახიცი წაუტყვევია, როგორც შენ ხარ. ამასთან, იგი წყენია და ვერ იტანს იმთ, რომლებიც მის არსებობას უშუალებლად უფიქრობენ.

— რას ამბობთ?! — თქვა უცნობმა, ყავის საფასური გადაიხდა და სწრაფად გავიდა.

როცა თანამოსუფრეები ამ ამბის გამო იციროდნენ, კაფეში აღგილორივი გაზენის ფორტორგბორტორონი შემოვიდა და წამოიძახა: — სად წვივდა? ნუთუ ხელიდან გამისვლტა?

— ვინ? — ჰკითხეს ედვარდს თაყვანისმცემელმა.

— ნუთუ ვერ იცანით?! როკი დიდი როკი მარჩინაო. ის ეს-ესა ამ კაფეში იყო.

ედვარდი და მისი თაყვანისმცემლები უგრძობლად გადაეცვენენ სკამებზე.

ივლისში, მოსკოვს გამართულ საერთაშორისო მძლეოსნურ მატჩს — სსრკ-აშშ, საბჭოთა და ამერიკელ სპორტსმენთა შიერ მიღწეულ მაღალ შედეგებს ჭარდა ჰქონდა კიდევ ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა: უბრალო ადამიანების დამეგობრება, მიუხედავად ყოველგვარი იდეოლოგიური, პოლიტიკური, ტერიტორიული და სხვა სახის „ბარიერებისა“, რომლებსაც მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის მტრები ჰქმნიან.

სსრ კავშირისა და აშშ-ს მძლეოსნური მატჩის ერთ-ერთ ასეთ შედეგს ხედავთ ამ სურათზეც. მასზე აღბეჭდილია მსოფლიოში სახელგანთქმული „ჯიბის სპრინტერის“ ამერიკელი ა. მერისონის (შუაში), 100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის გამარჯვებულის



ბ. ჯონსისა და ქართველი სპრინტერის ლ. ანათის მეგობრული საუბრის მომენტი მატჩის დამთავრების შემდეგ.

ლიბეკობის საუბარე

ნურბურგინგში (გფრ) ამ ახლო ხანებში გაიმართა საავტომობილო რბოლა, რომელსაც ეწოდება „გრანდ პრი“. ტრასა, რომელსაც აქვს 176 ვირაჟი, ითვლება ერთ-ერთ ურთულესად მსოფლიოში.

რბოლაში მონაწილეობა მიიღო ცნობილი ინგლისელი მრბოლეული პეტერ კოლინსმა, რომელსაც წელს მოგებული აქვს რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრება სიცილიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში.

პ. კოლინსს აშვერად არ გაუმართლა. იგი კარგა ხანს ლიდერობდა რბოლას, მაგრამ ერთ-ერთ ვირაჟზე დიდი სისწრაფით ავარდა და რამდენიმეჯერ გადაბრუნდა.

ემიები ბევრს ეცადნენ პ. კოლინსის გადარჩენას, მაგრამ მედიცინა უძლური აღმოჩნდა საავტომობილო კატასტროფის შედეგად მიღებულ მძიმე დასახირებათა წინაშე. სპორტსმენი გარდაიცვალა საავადმყოფოში.

კედე გაიყიდა

როგორც ბულგარეთის სპორტული ვაგეითი „ნაროდენ სპორტი“ იუწყება, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის უფელაზე ახალგაზრდა მონაწილე, ბრაზილიელი პელე იყიდა მადრიდის „რეალმა“ 720 ათას შვეიცარულ ფრანკად.

რედაქტორი ი. უგულაძე

მეშუშეები უძლიერებები აღმოჩნდნენ მაგიდის ჩოგბურთშიც. მათ ხუთიდან მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგეს. ამავე დღეს ქალაქის სტადიონზე მოეწყო ფეხბურთელთა მატჩიც, რომელიც დამთავრდა ფრედ — 1:1.

ჩამომსხმელი ქარხნის სპორტსმენებმა თავიანთი სიძლიერე დამტკიცეს მხოლოდ ქართულ ქილობაში.

ბ. გულაშვილი

კომპლუთი

ჩატარდა „კომპლუტინს“ სარაიონო პირველობა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

შეჯიბრებაში მონაწილე 8 გუნდიდან პირველობა დასაყუთრეს ტელმანის სახელობის კომპლუტინების სპორტსმენებმა.

40 მონაწილიდან სამმა უჩვენა მეორე თანრიგის ნორმატივი და ხუთმა — მესამე.

ნ. კილაძე

ბოგდანოვკა

ბოგდანოვკაში ჩატარდა კომპლუტინის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სპორტსმენებს შორის ფეხბურთისა და ქალაქში. ქალაქში ანგარიშით 9:5 გაიმარჯვა ახალქალაქის გუნდმა. ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა აგრეთვე სტუმრების გამარჯვებით — 4:3.

ბ. ალაშინაძე

დარჩა რვა გუნდი

პირეული კოლექტივებისათვის დაწესებული საკავშირო თასის მიმდინარე წლის გათამაშებაში მონაწილეობდა 20.000 ფიზკულტურული კოლექტივი. ხარკოვის სატრაქტორო ქარხნისა და მოსკოვის ოქტის რეზნსკის „ტრუდის“ ფეხბურთელთა შეხვედრით დამთავრდა ამ თასის შერვედფინალური მატჩები.

კიროვკანის ბამბულის კომბინატმა ლენინბადის პედაგოგიურ ინსტიტუტთან შეხვედრაში, რომელიც ლენინბადში გაიმართა, მობოვა გამარჯვება ანგარიშით 3:1 და გაუღდა მეოთხედფინალში. მეოთხედფინალში გავიდა, აგრეთვე ვილნოუსის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც დამატებით დროში ანგარიშით 2:1 მოუგო. რიგის გუნდს. მეოთხედფინალში უილინუსელთა წინააღმდეგითამაშებენ აშხაბადის, „წითელი მეტალისტის“ ფეხბურთელები, რომლებმაც მერვედფინალში დაამარცხეს მინსკის სატრაქტორო ქარხნის ფეხბურთელები — 2:1.

საკავშირო პროფსაბკის სპარტაკიადის პრიზორო ტალინის „კალევი“ შეხვედა პავლოდარის მშენებელთა გუნდს და დამარცხა იგი ანგარიშით 4:3, ზოლო ლენინგრადის გუნდმა, რომელმაც შარშან ფინალში წააგო ტრეს-ის ფეხბურთელებთან, შშრალი ანგარიშით 4:0 მოუგო ყირგიზეთის „ზომიკს“. ლენინგრადელები მეოთხედფინალს ჩაატარებენ 4 ოქტომბერს ბათუმში ადგილობრივ „დონამოსთან“.

ბორჯომი

კომპავშირის 40 წლისთავის აღსანიშნავად „განთიადის“ ბორჯომის რაისაბკომ მოაწყო შუშის ქარხნისა და ჩამომსხმელი ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის სამატჩო შეხვედრა, რომლის პროგრამაში იყო სპორტის ოთხი სახეობა. ქალაქში მატჩი გაიმართა შეიდ დავაზე. ჩამომსხმელი ქარხნის სპორტსმენებიდან გ. ვაბრილოვიმ მოუგო გ. შალიბაშვილს, თ. ყორანაშვილმა დაამარცხა კ. მჭედლიშვილი. სამაგუროდ შუშის ქარხნის მოჭადრაკეებმა დ. ვაშყერილიძემ, ს. ანდლულაძემ და ა. გულაშვილმა სამი ქულა მოუტანეს თავიანთ კოლექტივს მატჩის ანგარიში 4:3 შუშის ქარხნის გუნდის სისარგებლოდ.